შინაური საქმეები.

ყოველ-კვირეული გაზეთი.

№ 21—22.

ფასი ორი შაური

წლიური ფასი 5 მან.
წლის დამლევამდე
1 მ. 70 კ.

წელიწადი მეშვიდე.

კვირა, 29 ნოემბერი 1915 წ.

მომავალი 1916 წლის პირველ იანვრიდან

სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივი გაზეთი

შინაური
საქმეები

გამოვა ჩვეულებრივი ფორმატის 16 გვერდიანი.

წლიურად ეღირება **5** მანეთი, ნახევარი წლით **3** მანეთი.

წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიათ დაკვეთის დროს სამი მანეთი გამოგზავნონ ხოლო დანარჩენი მაისის დამლევს. დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რედაქციიდან ქუთაისში. უმორჩილესად ვსთხოვთ ადგილობრივ და თბილისის ყველა რედაქციებს ეს ჩვენი განცხადება დროგამოშვებ სამჯერ დაგვიბეჭდონ და გამოცემები შეგვიცვალონ, რისთვისაც ჩვენც მზათა ვართ მათვე გადაუხადოთ.

გაზეთის დაკვეთა დღეიდანვე შეიძლება. მისამართი: „შინაური საქმეების“ რედაქცია. ქუთაისში.

რედ. მღვდ. **ს. მჭედლიძე**

საეკლესიო სანთლის შიმშილობა იმერეთის ეპარქიაში.

დღევანდელი უმაგალითო საერთაშორისო ომი ცხოვრების ყოველ მხარეს დაეტყო, ყველაფრის შიმშილი და ნაკლებობა გამოიწვია და გასაკვირალი არ არის, საეკლესიო სანთლის შიმშილობაც ჩამოეგდო. ასეც მოხდა და დღეს იმერეთის ეპარქიის სანთლის დუქანში ერთი ღერი სანთელი არ მოიპოება. ვინ იცის, რა სიშორიდან არ მოდიან სანთლის საყიდლად თუ ღვდლები, თუ მნათეები და ხელცარიელი ბრუნდებიან უკან. წესიერება მოითხოვდა და უბრალო ადამიანური შებრალებაც თავის დროზე ეცნობებინათ ეს ამბავი გაზეთების საშუალებით, რომ უნაყოფო ხარჯებისაგან გადაერჩინათ მღვდელ-მნათეები. ხუმრობა არ არის რაჭა-ლეჩხუმიდან ქუთაისში ჩამოსვლა, გინდ ზემო იმერეთიდან, ან გურიის საზღვრიდან. მაგრამ ნათქვამია: „სხვისი ჭირი, კედელს ჩხირიო“ და ჩვენი სანთლის გამგეობაც არ დაგიდევს შენ ჭირს.

სამწუხარო შემთხვევამ მოგვცა სანთლის დუქანში შევსულიყავით და დიდი, ორ გირვანქიანი, კერასები მოგვეთხოვა. გვითხრეს: არა გვაქვს, ეგ კი არა, ერთი ღერი კაპეიკიანი სანთელიც კი, და, რომც გვქონდეს, ვერ მოგართმევთ, რადგან აკრძალული გვაქვს კერძო პირზე სანთლის გაყიდვაო. როგორც იყო; ათი ფუთი ცვილი შევაგროვეთ, გელათში გავგზავნეთ, ჩამოგვიტანენ, გავყიდით და შემდეგ რა გზას დავადგებით არ ვიცითო“. გამახსენდა ილია წინასწარმეტყველისა და სარეპტელ დედაკაცის ამბავი: „ერთი მუჭა ფქვილი მაქვს, აი მივალ სახლში, გ მოვაცხობ კვერს, შევჭამთ მე და ჩემი შვილი და შემდეგ რა ვქნა, არ ვიცი, შიმშილით უნდა ამოგვხდეს სულიო“. რომ ილია ვყოფილიყავ, შევიბრალებდი გულდათუთქულ სანთლის მოვაჭრეს და გავუმრავლებდი ცვილს...

მაგრამ, განა ასე სჯობს საქმე? მართლა შეუძლებელია, ერთი წლიწადს მაინც თავი გაეტანოთ და სანთელი არ დავიკლოთ? შეუძლებელი ბევრი რამ არის ადამიანისთვის, მაგრამ ცვილის შოვნა შეუძლებელი არ არის, მხოლოდ კაცი უნდა თავიანი და მოქმედი. ჩვენ მოიჯარადრეებს, გელათის ბერებს და, მათ... რომ თავები ებასთ და საქმიანობის რამე უნარი ჰქონდესთ, გავლენ სოფლად, გადავლენ სვანეთში და ადგილობრივ მღვდლების დახმარებით შეაგროვებენ საჭირო ცვილს, ქუთაისში ჩამოსაზიდავი ცვილი არავის ექნება, მაგრამ ორორ-სამსამი გირვანქა ბევრს ექნება, ზოგიც ეკლესიებში იქნება და ამნაირად ბევრი შედგება. დარწმუნებული ვართ მღვდლები დიდ დახმარებას გაუწევენ ამ შემთხვევაში მოიჯარადრე ბერებს, რადგან კარგათ ესმისთ, რომ სანთლის ვაჭრობის დაცემა 8—9 ათას მანეთის ხარჯს დაატეხს თავზე სამღვდელოების გამოფხეკილ ჯიბეს.

მაგრამ არიან კი ამ სორტის მოღვაწე ბერები დღეს გელათში? სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ არა! კაი ხანია მოქმედი ბერები გამორეკეს იქიდგან. ერთი მათგანი მოწამეთის მონასტერში უსაქმობით ლევს სულს, ხოლო მეორე მარტვილის მონასტერში მოქმედობს ჩვეულებრივი სიმკვირცხლით და საქმის მოყვარეობით.

მაშასადამე ამ მხრით საშველი არ არის; დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ე. კ—ისთანა მატყუარა ბერები ვერაფერს გააკეთებენ, ვერც თავისთვის და ვერც ჩვენთვის. თუმცა ჩვენ უფლებაც გვაქვს მოვსთხოვოთ ბერებს დაუყონებლივ იშოვნონ ცვილი და მოგვაწოდონ სანთელი, მაგრამ სადაც ლონე არ არის, იქ რაც უნდა მოითხოვო, ამაოა.

რაღა დაგვრჩენია? ისევ მღვდლებმა უნდა მიიღონ თავზე ცვილის შოვნა თავიანთ სამრევლოებში და მიაწოდონ სანთლის დუქანს, მაგრამ ამისთვის არ კმარა ჩვენი ბრძანება, საჭიროა სამღვდელოება შეიკრიბოს თავის წარმომადგენლებით, მოილაპარაკოს ამის თაობაზე და რამე გარკვეულ გზას დაადგეს, თუ როგორ და რა რიგათ მოაგვაროს ეს საქმე. აგრეთვე კვლავისათვის სამღვდელოებამ უნდა პასუხის მგებელი მოიჯარადრე იშოვნოს, რომელიც გირაოს ქვეშ ვალდებული იქნება ცვილი არ შემოაკლოს ქარხანას. ეს

ღღესდღეობით გელათის ბერების საქმეა, მაგრამ რაც დღემდის ვერ მოაგვარეს, კვლავაც ვერ მოაგვარებენ. ამიტომ ან თლათ უნდა დავეხმაროთ და მათი საქმე ჩვენ ვაკეთოთ, ან და ქარხანა ჩამოვართვათ და ჩვენ ვაწარმოოთ.

ყოველ შემთხვევაში საყვედურის ღირსნი არიან ნანთლის დღეანდელნი ჰირისუფალნი მთელი თავის შემადგენელობით.

ხელი.

პარნოგრაფიული ლიტერატურა:

დადის ხელიდამ ხელში, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზდობაში, ეგრეთ წოდებული პარნოგრაფიული სურათები. ყოველი პატიოსანი კაცის მოვალეობაა დახიოს, მოსპოს, სადაც კი შეხვდება, ასეთი სურათები და მათ მატარებელსაც შესაფერი დარიგება მისცეს. ჩვენ გვგონია, არ მოიძებნება ჩვენში ისეთი „ფუტურისტი“, ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობით, რომელიც ნებას დართავს მხატვარს თავისუფლად ხატოს და მატარებელს თავისუფლად ატაროს ასეთი სურათები. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ასეთი სურათები ზიზღს არ იწვევდეს თანამედროვე განვითარებულ ადამიანის გულში და სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ასეთ სურათებს მხოლოდ საიდუმლოდ ატარებენ. ამიტომ არც იმდენი გავლენა აქვს ამ სურათებს, არც იმდენი ზნეობრივი ვნება მოაქვსთ მათ ფართო საზოგადოებისათვის, თუმცა უნაყოფოთ არ ჩაიელის მათი მოძრაობა საზოგადოების ნაწილზე მაინც და, სამწუხაროდ, უფრო იმ ნაწილზე, რომელსაც მოსწავლე ახალგაზდობას ეძახიან და, ვინ იცის, რა სიკეთეს არ სწავლობენ ასეთი სურათებით.

სულ სხვა საქმეა პარნოგრაფიული ლიტერატურა, განსაკუთრებით, როცა იგი რომელიმე ცოტად, თუ ბევრად გავრცელებული პერიოდული გამოცემის საშვალებით ქვეყანას ეფინება როგორც ლიტერატურული, როგორც ხელოვნური მარგალიტები. დამერწმუნებით, რომ გაზეთი და წიგნი დღეს მოძღვრის, მასწავლებლის როლს ასრულებს, განსაკუთრებით მათ თვის, ვისაც თავის საკუთარი ზნეობრივი პრინციპები ჯერ არ შეუმუშავებიათ, ან კიდევ სარწმუნოებიდან არ შეუსისხლხორცებიათ. ასეთი ადამიანები სწორეთ გაზეთებიდან და წიგნებიდან ჰკრებენ ზნეობის მარგალიტებს, ტკბილ სასწავლებელ მცნებებს, ხასიათის შესამუშავებელ, მისაბაძავ მაგალითებს. თავის თავად ცხადია, თუ რა გავლენას იქონიებს ასეთ პირებზე ლიტერატურული პარნოგრაფია, ლიტერატურული ბიწიერება, როდესაც ავტორი განძრახ ისეთ ამბებს მოგვითხრობს, ნამდვილს, თუ მოგონილს, სულ ერთია, რომლებშიდაც უკიდურესი ცინიზმით, ან ვსთქვათ, ლამაზი ფორმით და სიტყვებით აწერილია იდამიანის რომელიმე მდაბიო ბიწიერი მხარე, ან უბრალო შეცდომა, რომელსაც თვით ავტორი თანაუგრძნობს. დამერწმუნეთ, ეს იგივეა დღეს, მასწავლებელმა რო კლასში ბავშებს რომელიმე ბიწიერებაზე გაკვეთილი მასცეს, როგორც კარგ რამ სასარგებლო საგანზე.

რამდენადაც თავი გვახსოვს, პარნოგრაფიულ ნაწარმოებს ადგილი არ ჰქონია ჩვენს ლიტერატურაში ამ ბოლო ხანებამდი. ამ ბოლო ხანებში „იმერეთმა“ დაიწყო და დღეს კი „მეგობარი“ გულსმოდგინეთ ილვწის ამ რაინდულ სარბიელზე. ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენს ამ გაზეთის № 33. წაიკითხეთ ამ ნომრის საფელეტონო ადგილზე მოთავსებული მინიატიურები: „ძახილი“ და „ჩემი თავადი“ ელენე დარიანისა, „მამა“ გრიშაშვილისა და... განსაკუთრებით, „ტელეგრამა“ ჯ. ჯორჯიასი.

ჩვენ ვერ ვიცნობთ ელენე დარიანს, რომელიც ეხლა გამოსულა საპარნოგრაფიო ლიტერატურის ასპარეზზე, მაგრამ კარგათ ვიცნობთ ბ. ბ. გრიშაშვილს და ჯორჯიას, რომლებიც არა ერთხელ გამასპინძლებიან მკითხველ საზოგადოებას ასეთი ტკბილი „პრიანიკებით“, როგორსაც ხსენებულ გაზეთის ნომერში ამოიკითხავთ. ამ პატივცემულ მწერლებს თავის ნაწარმოებისათვის მეტი საპატიო სიუჟეტი ვერ უპოვნიათ ჩვენს ცხოვრებაში, გარდა თავისუფალ ხორციელ სიყვარულისა, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, პავლე მოციქულის სიტყვით, **განზურგებისა**. სიუჟეტის ამორჩევა თავის ნაწარმოებთათვის, ვსთქვათ, ამ დიდი **მწერლებისა** საქმეა, მაგრამ რა შუაშია გაზ. „მეგობრის“ ფურცლები, რა საერთო აქვს ფედერაციას ბ. ბ. გრიშაშვილის, ჯორჯიკას და ქ-ნ ელენე დარიანის პარნოგრაფიულ მინიატურებთან? რით ეხმარებიან ეს მინიატურები ფედერატიულ აზროვნების გავრცელებას

ხალხში? ქნი ელენე დარიანი რომ ვილაც ქმარს ვნებით „ეძახის“ და ვილაც „თავადს“ მკლავზე უგორავს, განა ამით ფედერაცია დამყარდება საქართველოში? გრიშაშვილი რომ სხვის ცოლს ქმრობს, განა ამას ჰქვია ფედერაცია? ჯაჯუ ჯორჯიკიას, ნიკო როატეხილი ცხოველივით ვილაც დედაკაცის სახლის კარებს მივარღნია და ამტვრევს, განა ეს არის ფედერაციის წინამორბედი? ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი ფედერაციისგან!!

ვიმეორებთ, ჩვენ არ გვაკვირვებს ჯორჯიკიას და მისთანათა მინიატურები, ჩვენ ვერ შევრიგებივართ მხოლოდ იმ აზრს, რომ ასეთი ლინჯი მიმართულების გაზეთი, როგორიც არის „მეგობარი“, ასეთ ქარაფშუტა წერილებს უთმობს ძვირფას ადგილს. არ კმარა, რომ ბ. კიტა აბაშიძემ ნება მისცა ბ. ჯორჯიკიას თავისუფალ სიყვარულზე იმსჯელე შენს მინიატურებში. კრიტიკოსები და საზოგადოთ მოწინავე მწერლები არ შეთანხმებულან ჯერ ამის თაობაზე. ჯერ კიდევ ადრეა იმ დროამდი როცა საზოგადოების ლიტერატურული გემოვნება იმ ზომამდი დაეცემა, რომ ხსენებულ ავტორების მინიატურებს სურვილით ტლეკას დაუწყებენ.

უკიდურესი.

არა ჰკითხეს მოსამგზავლო, მიგზავნეს და მიაგდეს ოსმალეთს.

(ბაზოვის აგიტაციის გამო.)

რიგორც ვიცით, ონის რაბინი ბ. ნ. ბაზოვი დიდ აგიტაციას ეწევა მთელი გადმოლმა კავკასიის რაბინთა კრების მოწვევის გულისათვის. მან, როგორც თვით აცხადებს, ნებაც აიღო სათანადო მთავრობისაგან და ახლა ისღა დარჩენია, რომ რაბინები შეითანხმოს და კრება გამართოს. კრების მიზანია გამოარკვიოს ებრაელთა დღევანდელი მდგომარეობა და კულტურულად წინწამწევი რეკეპტები შეიმუშაოს, რომ ებრაელები არ ჩამორჩენ სხვა ერებს სწავლა-განათლების, ეკონომია-მრეწველობის, ხელოსნობა-მიწათმოქმედების საქმეში. ბაზოვს ეშინია, რომ საქართველოში მოსახლე ებრაელების ეკონომიას, „რაც მათ ცხოვრების უმთავრეს სახსარს შეადგენს, თან-და-თან ნიადაგი ეცლება, რადგან ყველგან კოოპერატიული სავაჭროები და დუქნები იხსნება. ამიტომ, ამბობს იგი ქუთაისში გამართულ კრებაზე, ებრაელები სწავლა-განათლებას უნდა დაეწაფონ და სხვადასხვა ხელობა შეისწავლონო.

თითქმის ყველა რაბინი შეუთანხმებია ბ. ნ. ბაზოვს, გარდა ქუთაისის რაბინისა, რომელიც ისე გაჯიუტებულა, რომ პასუხიც არ გაუცია. ქუთაისის რაბინის გაჯიუტების მიზეზების გამოსარკვევად (?) კრება მომხდარა 16 ნოემბერს ქ. ქუთაისში, რასაც ქართველთა წარმომადგენელნიც დასწრებიან. ამ კრებაზე ბ. ბაზოვს ვრცელი სიტყვა უთქვამს (იხ. „მეგობარი“ № 42) რომელშიაც სხვათა შორის ამბობს: „ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენ, და ქართველები ერთ ტაფაში ვიწვით. ქართველებიცა და ებრაელებიც კარგათ გრძნობენ ამას და მუდამ კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ. ორი ათასი წლის განმავლობაში ჩვენ ებრაელებს, ერთი შემთხვევა არ გვახსოვს ქართველებისაგან ურიგოთ მოპყრობისა. საერთო გაჭირვებასთან ერთად, რომელიც ქართველებთან ერთად გაუვლია, ებრაელებს კერძო უბედურებაც ბევრი გაუვლიაო“.

საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ებრაელები და ქართველები ერთ ტაფაში არასოდეს არ იყვნენ მოქცეულნი. ისტორიამ არ იცის ისეთი შემთხვევა, რომ ებრაელებს ქართველების ჰირი გაეზიარებიოს; საქართველოს მატიანეს ერთი შემთხვევაც არ ახსოვს, რომ ებრაელი მეზობელი გამკლავებოდეს საქართველოს მტერს; საქართველოს გაჭირვების ხანებში ებრაელები ჩვეულებრივ ვაჭრობას ეწეოდენ და ფეხებზე ეკიდათ, თუ ვინ შეიქნებოდა საქართველოს პატრონი—სპარსნი, თუ ოსმალნი; დღესაც ვერავითარ ხელშეწყობას და დახმარებას ვერ ხედავს ქართველი ერი მის მიწაწყალში შემოხიზნულ ებრაელთაგან, გარდა ჩვეულებრივი მევახშეობისა. ვერ ნახავთ ისეთ ქართულ ეროვნულ დაწესებულებას, სადაც მონაწილეობას ღებულობდეს ებრაელი. და თუ ებრაელებს ქართველებისაგან არაფერი ცუდი ახსოვსთ, ეს საკუთარი ქართველების გულუხ-

ვობას და სტუმართ მოყვარეობას უნდა მიეწეროს და არა იმ გარემოებას, რომ ებრაელები მათთან ერთ ტაფაში იწვოდენ.

ბ. ბააზოვი სწუხს, რომ, საქართველოში მცხოვრებ ებრაელებში ეროვნული თვით-გამორკვევა არ არსებობს". ჩვენ არ ვიცით, რას ეძახის ბ. ბააზოვი ეროვნულ თვითგამორკვევას, ჩვენი შეხედულობით კი არსად, არც ერთ ერში, ისეთი ეროვნული განცალკევება არ არსებობს, როგორც ებრაელებში. ორი ათასი წლის განმავლობაში ერთი მუჭა ებრაელობა საქართველოში სცხოვრობს, შეუნახავს თავისი სარწმუნოება, საღვთისმსახურო ენა, ზნე და ჩვეულება, ეროვნული ტრადიციები, და რა აკლია ნეტავ კიდევ მის ეროვნულ თვითშეგნებას? ებრაელის დამახასიათებელი ნიშანდობლივი თვისებაც ის არის, რომ იგი არ ღალატობს თავის ეროვნებას და მუდამ ებრაელი რჩება, სადაც და რა პირობებშიდაც უნდა სცხოვრობდეს იგი. ებრაელი არასოდეს არ დახარჯავს თავის ძალას სხვა ეროვნებისათვის და, თუ ძალა დაატანეს, ეცდება ნაკლები ძალა დახარჯოს, რომ უმთავრესი თავის ეროვნებას შეუნახოს.

სულ სხვა ხალხია მაგალითად ქართველები: შინ რომ საქმე დაპუწული ჰქონდეს, იგი სხვას უწყობს საქმეებს, შინ რო შვილები შიმშილით ეხოცებოდეს, ტაბლა გარეთ გააქვს ყვავ-ყორნის საჭმელად; ქართველს უფრო ებრალება სხვა ეროვნების მშიერი, ვიდრე თავის საკუთარი მამა და ძმა. აბა დააკვირდით ქართველ სოციალდემოკრატებს, გინდ სოციალ ფედერალისტებს და თუგინდ ეგრეთწოდებულ ნაციონალისტებსაც... არაფერი ქართველური მათ არ სცხია, არც სარწმუნოება, არც ზნე-ჩვეულება და აკი ქვეყნის მამიდობასაც ამიტომ არ ეწევიან!

აი, თუ გინდ, ბააზოვის კრება აიღეთ. აქ ხედავთ, ქართველი თავმჯდომარეობს,—ბ-ნი გ. გველესიანი, ბააზოვის კრება ირჩევს დეპუტაციას ქუთაისის რაბინის სიჯიუტის მიზეზების გამოსარკვევად— დეპუტაციაში შედიან ქართველები: იგივე გ. გველესიანი, ი. ფანცხავა და (ჰოი საკვირველებავ!) ქუთაისის ყველა რედაქციების წარმომადგენელნი. დაგარწმუნებთ, ასე ერთსულოვნად ამ პირებს ვერ შეკრებ რომელიმე ეროვნულ საკითხის გამოსარკვევად.

და რა პასუხით გამოისტუმრა ჩვენი არამკითხე მოამბენი ბ ნმა ქუთაისის რაბინმა?— „თქვენ რა გაინტერესებს, რომ ასე თავგამოდებით იცავთ ბააზოვს"? ე. ი. თქვეს ვინ გამოგაწვიათ ჩვენ საქმეში ჩასარევათო, თქვენ რა ხელი გაქვთ ჩვ ნ ეროვნულ მოძრაობაშიო? და რომ სულ გულნატკენი არ გამოეშვა ქართველი ინტელიგენტები, ბოლოს ასეთი პასუხით გაუმასპინძლდა მათ; „ჩვენ ომიანობის მიზეზით არა ვართ თანახმა. რაბინთა კრებისა. ომიანობას შემდეგ მივიღებ მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი ინსტანციიდან (ე. ი. ბრესტის რაბინიდან) იქნება ნებართვა"

ეს უკანასკნელი პასუხიც იმას ნიშნავს, ნუ ერევით ჩვენ საქმეშიო. როდის ვისწავლით ჭკუას, რომ არამკითხე მეამბეობისათვის არ მიგვბეგონ ხოლმე.

უკიდურესი.

საარაკო უსამართლობა.

ამ სისხლის წვიმების დროს უსამართლობაზე და ძალმომრეობაზე ჩივილი და გოდება, შესაძლოა, უადგილოთ ვისმე ეჩვენოს. მაგრამ ჩვენგვსურს ერთი ამბავი საქვეყნოთ გამოვამხეურეთ, რათა საჯაროთ ასეთი ამბების გამოქვეყნებით სხვებმა მაინც აღარ ჩაიდინონ ასეთი საარაკო უსამართლობა და ძალმომრეობა. ერთი ესა და მეორეც ისა, რომ, დეე, ქვეყანამ უწყოდეს იმ პირების ვინაობა, რომლებიც ცალიერი ლიტონი სიტყვით ქვეყანას აშენებენ და მამულიშვილობენ, საქმით კი მშრომელ გლეხობას სჩაგრავენ და უსამართლოთ აწუხებენ. ამ შესავალის შემდეგ ნება გვიბოძეთ თვით უსამართლობის საგნის ისტორიაზე გადვიდეთ.

რაჭის მაზრის სოფელ კვაცხუთში იმე

რეთის საარქიელო სახლს აქვს უძრავი მამული, რომელიც შეიცავს თვის შორის: სახნავსათესს, ვენახს და ტყეს. ეს მამული არქიელის სახლისთვის უმაღლესად ნაბოძები აქვს მთავრობას 1871 წელში. თქმა არ უნდა, უმეტესი ნაწილი სახელმწიფო მამულებისა ჩვენში წინეთ საეკლესიო ყმების კუთვნილებას შეადგენდა. რაც შეეხება კერძოთ კვაცხუთის საარქიელო მამულს, თუ რომ ის ეკლესიას შერჩა, ამას უნდა უმადლოდენ ისინი, ვინც ამ მამულს დღეს ასრე ნარდიბარულათ ათამაშებენ, კვაცხუთელ გლეხებს, რომლებმაც ეს მამული მებატონე გაბაშვილებს ხელიდამ გააგდებინეს და ეკლესიას მიჰკერძეს. აი როგორ მომხდარა ეს ამბავი: მიტროპოლიტ გენათელს კვაცხუთის საეკლესიო ყმებში ორი მცირე წლოვანი ძმები გაბაშვილები დაუხიზნავს. დროთა მსვლელობაში ეს გაბაშვილები დაჰპატრონებიან და მიუთვისებიათ სოფ. კვაცხუთის საეკლესიო ყმა და მამული. ბოლოს, ეს გაბაშვილები ისეთი მკაცრი და აუტანელი მებატონეები გამხდარან, რომ მეტი არ იქნება. მოგეხსენებათ ყველაფერს საზღვარი აქვს და კვაცხუთლების მოთმინებასაც ბოლო მოელო და აუჯანყდნენ გაბაშვილებს; ამ საქმის თაობაზე მეთაურები ციმბირში გადაასახლეს, რომელთა უმეტესობა იქვე დაიხოცა. დანარჩენმა გლეხობამ, სადაც ჯერ იყო საჩივარი შეიტანა. გლეხებს საჩივარში მხარი დაუჭირა იმერეთში კარგათ ცნობილმა ქედმალალმა და გოროზმა დავით მიტროპოლიტმა, წერეთელმა, რომელიც გაბაშვილებზე რაღაცაზე უკმაყოფილო იყო. ამ მიტროპოლიტის გავლენით საქმე გლეხების სასარგებლოთ გათავდა, ესე იგი კვაცხუთის საგაბაშვილო ყმა და მამული ეკლესიას დარჩა. როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, კვაცხუთის საეკლესიო მამული 1871 წელში იმერეთის საარქიელო სახლს ებოძა. სამართლიანობა მოითხოვდა, რომ ეს მამული საიჯაროთ მაინც კვაცხუთელი გლეხებისთვის მიეცათ, ამის მაგიერათ ეს ადგილები, რაღაც მანქანებით და მოხერხებით, ვიღაც შორგბელმა (ზემო რაჭველმა) კოსტა გოშაძემ ჩაიგდო ხელში და აღარ ელევა, აქეთ და გაბრიელ ეპისკოპოზის ფარეში ვიყავიო. მერმე რა რომ ფარეში იყო!.. დიდებულ პირებს კოტა არამზადა მოსამსახურეები ჰყოლიათ და ჰყავთ?. ახლა ამ გოშაძემ დაუწყო საწყალ კვაცხუთლებს გაბაშვილებზე არა ნაკლებ ჩაგვრა და შეიწროება ხსენებული მამულის გამოისობით. ბევრი იჩივლეს, იდავიდარაბეს საწყალმა კვაცხუთელმა გლეხებმა, მოგვაშორეთ ეს გოშაძე და ჩვენ მოგვეცით ამატებულ იჯარაში კვაცხუთის საარქიელო მამულიო, მაგრამ არ იქნა და არავისთან არა გაუვიდათ რა! ბოლოს, გაბრიელ ეპისკოპოზიც პირადათ დარწმუნდა მოიჯარადრე გოშაძის არამზადობაში და მოსწერა ადგილობით კეთილ მოწესეს: „დამიხსენი ამ უხეირო მოიჯარადრე გოშაძისაგან და კვაცხუთის მამული იჯარით ადგილობითი მკვიდრს ვისმე გადაეცოო“. გოშაძის მოხერხებით ამ საქმეზე ადგილობითი მცხოვრებლებს არაფერი არ გაუგიათ და გაბრიელ ეპისკოპოზს კი ასრე მოახსენეს: „ადგილობითი მკვიდრთაგან კვაცხუთის მამული საიჯაროთ არავინ აიღოო და უმჯობესი იქნება ისევ ძველი მოიჯარადრის ხელში დასტოვოთ ეს მამულიო, რადგანაც მან ყველაზე უკეთ იცის ამ მამულის გარემოებაო“. მოტყუვდა ღრმად მოხუცებული და უკურნებელ სენშეპარებული მღვდელმთავარი გაბრიელი და ეს ადგილები ისევ გოშაძის ხელში დასტოვა. გავიდა ხანი და ადგა ისევ ხელახლა ამ ადგილების თაობაზე დავიდარაბა გოშაძის უდიერობით გამოწვეული. მიაქცია ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება და დაუპირა მოიჯარადრე გოშაძეს დათხოვნა, მაგრამ სამწუხაროთ, სანამ ამ საქმეს სისრულეში მოიყვანდა, მოულოდნელათ სხვა ეპარქიაში გადაყვანილ იქმნა და კვაცხუთის საარქიელო მამული ისევ გოშაძის ხელში დარჩა. ამის შემდეგ ადგილობითი მცხოვრებლებმა აღძრეს გოშაძეზე საჩივარი ახალ მღვდელმთავართან, მაგრამ არავითარი ყურადღება მან ამას არ მიაქცია, თუმცა ყველანი ერთხმად უმტკიცებდენ, რომ გოშაძემ მოუველლობით მამული სულ ერთიან გააფუჭაო. პასუხათ ყველას ამას ეუბნებოდა: „გოშაძის კონტრაქტს მალე ვადა გაუვა და ანგარიში ზარალის შესახებ მაშინ მოეთხოვებაო“. მცხოვრებლები მიხვდნენ, რომ საქმე სხვანაირათ მიდიოდა; ამიტომ ადგნენ და და უწ. სინოდში შეიტანეს საჩივარი, რომელშიაც დაწვრილებით აღნუსხეს ყველაფერი. სინოდმა ყურადღება მიაქცია ადგილობითი მცხოვრებთ საჩივარს და ბძანება მოსცა იმერეთის ეპისკოპოზს: როდესაც გოშაძის კონტრაქტს ვადა გაუვიდეს, კვაცხუ-

თის საარქიელო მამული იჯარით გაეცა საზოგადო ვაჭრობითათ. საბრალო კვაცხუთლები სიხარულით მოელოდენ კონტრაქტის ვადის გასვლას, აქაო და იჯარით მაინც ავიღებთ ჩვენი მამა პაპის სეულს ადგილ—მამულსაო. როგორც იქნა, ეს ვადაც გავიდა, მაგრამ, არ გაგიწყრეთ ღმერთი, ამას არქიელმა ყურადღება არ მიაქცია; მოინდომა გოშაძესთან ხელახალი პირობის შეკვრა და, როდესაც მღივანმა სინოდის ბრძანება გაახსენა, ცოტა მაშინ შეიჩმუხნა და, რომ ვერაფერი ველარ გააწყო, განაწყენებულმა ასეთი რეზოლიუცია დაადო გოშაძის თხოვნაზე: „ერთი წლით კიდევ დამიტოვებია". და ყოველწლივ ასრე შვრებოდა ოთხი წლის განმავლობაში. მის მაგიერათ, რომ საჩივრები გამოეძია და გაეგო, თუ რა ზარალი აქვს მიყენებული გოშაძისაგან კვაცხუთის საარქიელო მამულს, ადგენ და უწ. სინოდის წინაშე შუამდგომლობა გამართეს კვაცხუთის მამულის გოშაძეზე გაყიდვაზე. უწ. სინოდმა სადათ შეხედა ამ საქმეს და მამულის გაყიდვაზე ცივი უარი სტკიცათ, მაგრამ რა გამოვიდა? ამ მამულზე ამ ორი თვის წინეთ იმერეთის ეპ—მა გოშაძის შვილს კონტრაქტი შეუკრა. ესეც, როგორც მამა, მეტის მეტათ აწუხებს მცხოვრებლებს, ზოგს ლორს უკლავს, ზოგს საქონელს უჭერს და აწუხებს. ერთ ყოვლად საწყალ გლეხს, რომელსაც ახალი მოიჯარადრის გოშაძის მამამ ამ თორმეტი წლის წინეთ, ძვირფასი ტყე უხეირო ახოთ გააკეთებინა და შიგ ჩაასახლა, მიუსია თავისი კაცის შეუბრალებელი ძმა და დღე მუდამ უხტება გინდა თუ არა, აიყარე და სხვაგან წადიო! სად უნდა წავიდეს, როდესაც თავის შესაფარებელი არსად რამე გააჩნია!

თუმცა ჩვენ, ადგილობითი მკვიდრნი ს. კვაცხუთისანი, ცას და დედამიწას ვაწუხებთ და ვერ იმხვდარვართ, არც კაცი გვყავს გაგვაგებინოს: 1) რისთვის, რის გულისათვის ჰქომაგობენ მუქთა—ხორა გოშაძეს და მისს შვილებს და ადგილობითი მკვიდრ მშრომელ გლეხებს კი გვჩაგრავენ ისინი, ვინც ყველაზე უფრო მოვალენი არიან ჩვენი განკითხვისა და შეწყნარებისა; 2) რა სარგებლობა მოუტანეს ან მოაქვთ გოშაძეებს ეკლესიისა და მამულისათვის? 3) რისთვის ეწინააღმდეგებოდენ კვაცხუთის საარქიელო მამულის საჯარო ვაჭრობით იჯარაში გაცემას მაშინ, როდესაც ნაცვლად დღევანდელ 130 მ. იჯარის მაგიერათ სამ ამოდენაში შეიძლებოდა გაცემა და მამულის უფრო გონივრულათ დამუშავება? 4) რისთვის დაარღვიეს რამდენჯერმე უმაღლესი სასულიერო მთავრობის ბრძანება და რათ არ გასცეს იჯარაში საჯარო ვაჭრობით ზეხსენებული კვაცხუთის საარქიელო მამული? 5) რისთვის ჰყრიან და აწიოკებენ ყოვლად უმწეო გლეხს ს. ნიკოლაშვილს საარქიელო ადგილიდამ, როდესაც ეს უკანასკნელი იჯარის გადახდაზე უარს არ ამბობს.? 6) რისთვის იხსენებენ მოიჯარადრე ნოე გოშაძეს კონტრაკტში კვაცხუთში მცხოვრებლად, როდესაც ის ს. ჭვამხიეთის მცხოვრებია და კვაცხუთზე დიდი მანძილით არის მოშორებული. ნუთუ დავიჯეროთ მოიჯარადრე გოშაძის საქვეყნოთ ძახილი, რომ კვაცხუთის საარქიელო მამულის ხელახლა იჯარაში აღება 4000 მანეთი დამიჯდაო? ვთხოვთ, ვისაც ეს შეეხება, ყურადღება მიაქციოს და გოშაძეს მოსთხოვოს სად და ვისთან დახარჯა ეს 4000 მან? და ამ ცილისწამებისათვის პასუხისგებაში მისცეს, რადგანაც ეს ხმები, ვისაც ეს შეეხება საზოგადოების თვალში აბრუს უტეხს და ჩირქსა სცხებს. ვნახოთ რას იტყვიან?

კვაცხუთის მკვიდრი გლეხი.

რათ მოგვისპეს ღვდელთავრობა?!

(აზ. ი. თ—ძის ნაამბობი. ნამდვილი შემთხვევა)

ამას წინათ ს. ლო--ში გიახელით მოსალოცავად. მოგეხსენებათ, ჩემი სამშობლოა. წირვის შემდეგ, როგორც ქალაქიდან მოსულს, ხალხი შემომეხვია და დღევანდელ საჭირბოროტო საკითხზე—ომზე დამიწყო ლაპარაკი. რაც ვიცოდი და შემეძლო, დავაკმაყოფილე მეზობლების ცნობის-მოყვარეობა. ბოლოს ერთმა მოხუცმა მეზობელმა მკითხა:

— ეგ ყველაფერი კარგი, ბატონო, ომი, როგორც იქნება, გადაწყდება, მაგრამ, ერთი მითხარი, შენი ჭირიმე, რათ მოგვისპეს ღვდელთავარი?

— როგორ თუ ღვდელთავარი მოგვისპეს! გავიკვირვე მე: ღვდელთავარი როგორ არ გვყავს?! ქუთაისში ბძანდება.

—ე აზნოუშვილები რო კიდევ არ იშლიან ხუმრობას! მე მართლა მოგახსენე და შენ სახუმროთ გადამიქციე. ღვდელთავარი, რო გვყავდეს განა ამდენ ხანს მიგვატოვებდა? განსვენებული გაბრიელი ყოველ სამ წელიწადში გვინახულებდა ხოლმე, უმფროსებს გვარიგებდა, ბავშებს ჯვრებს ურიგებდა, ღვდლებს აფრთხილებდა. ბესარიონ ეპისკოპოზიც კინაღამ რაღაცას გვეუბნებოდა და ლეონიდიც გვინახულებდა ხოლმე, და მერე რავა მოხდა, რომ, თუ კი ღვდელთავარი გვყავს, ერთხელ მაინც არ გვინახულა ამ რვა წლის განმავლობაში, ერთხელ მაინც არ დაგვხედა, არ გვაკურთხა.?! არ დავიჯერებ, რომ ღვდელთავრობა კიდე იყოს, უთუოდ მოსპეს და არ გვიმხელენ, მარა რას გვერჩოდენ? დაგვანელეს, ბატონო, ამ ძუძუმწოვარა ბიჭე?მა! აღარც ღმერთი მათთვის, აღარც ნამუსი; ეს რავა დაგვემართება, რომ ღვდელთავარი თავის ადგილზე იყოს. უთუოდ მოგვისპეს, დევილუპეთ, კაცო! ნეტა მე არ მოვსწრებოდი ამ ამბავს და, რაც გინდა, ყოფილიყო. მართალი მითხარი, შენი ჭირიმე, მოგვისპეს თუ არა ღვდელთავრობა?

—არა, კაცო, არ მოუსპიათქო, გეუბნები, ქუთაისში ბძანდება, შვიდობითაც არის, მხოლოდ სოფელში სიარული არ შეუძლია, მოხუცებულია და თავს ინახავს.

—ვერ დავიჯერებ; გაბრიელი მოხუცებულიც იყო, მაგრამ სოფელში სიარული არ დაუგდია. ეკლესია უმისოდ არ კურთხებულა და საპატიო მიცვალებული არ დასაფლავებულა. გვატყუებ, აზნოუშვილო, მოუსპიათ ღვდელთავრობა, მარა ნეტა რა სიკეთესთვის?!...

ასე დაასრულა მოხუცმა თავის საუბარი. ვსთქვი, რათ არ იტკივებენ თავს ჩვენი მოძღვრები მეთქი და გამახსენდა გელათის მონასტერი,—ეს ოდესღაც დიდებული სავანე დ კათედრა ჩვენი მიტროპოლიტ—ეპისკოპოზებისა. ეპისკოპოზი სახელად მაინც გვყავს მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ რა უბედურება გვეწია, რომ ამ ჩვენი დიდების მოწამეს საკუთარი თავი და პატრონი წაართვეს, რათ მოუსპეს საკუთარი არხიმანდრიტი, ვის რათ შეშურდა გელათისთვის ეს მცირეოდენი დიდება მეთქი?!. გვახსოვს ქუთაისის საზოგადოება დიდათ აღგაშფოთა ამ საქმემ თავის დროზე, მაგრამ დროთა ბრუნვამ ყველანი მიგვაყუჩა და დღეს არავინაც გულს არ იტკივებს, არავინაც არ ფიქრობს ამ უსამართლობაზე. მწარე ფიქრებმა გამიტაცა და ნაცვლად ზნეობრივი კმაყოფილებისა მწარედ დამძარებული დავბრუნდი ეკლესიიდან.—

მასიქითელი.

კვირიდამ კვირამდე.

ამას წინათ ახალ ამბებში ვსწერდით, საქართველოს ეგზარხოსი სიღონში ექვს თვეს დარჩებაო, ეხლა როგორც გაზ. „მეგობარს“ ვაუწყია, მისი მეუფება მხოლოდ იანვრამდის დარჩება.

—

იგივე გაზეთი იუწყება, რომ ქუთაისში სას. სემენარია იანვრიდან დაიწყებს მოქმედებას.

—

ამ ჟამად სანთლის დუქანში ჩამოსხმული სანთელი აღარ მოიპოება. ცვილიც ნაკლებათ შემოდის დუქანში. ამნაირად სანთლის წარმოება თითქმის შეჩერებულია.

—

როგორც სამღვდელოების რწმუნებული ხელიძე იუწყება, ადგილობრივ მთავრობას არ შეუწყნარებია მისი შუამდგომლობა პარალელური მოსამზადებელი კლასის გახსნის შესახებ, თუმცა მისი მეუფება საქართველოს ეგზარხოსი დიდი თანაგრძნობით მოჰკიდებია ამ საქმეს და სურვილიც გამოუთქვამს ასეთ მოსამზადებელ კლასის გახსნისა ქუთ. სასულ. სასწავლებელთან.

—

უწ. სინოდს საქართველოს საეკლესიო

სკოლების ოლქის საბჭოს თავჯდომარედ ეპ. ლეონტი დაუმტკიცებია.

—

თავად-აზნაურობამ ნებართვა მიიღო გაიყვანოს რკინის გზა სამტრედიიდან ხონით ონამდის.

—

საჭირო ცნობა.

ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის განკარგულებაში იმყოფებიან შემდეგი პირნი: უფროსი სპეციალისტი სამეწადმომქმედო დეპარტამენტისა კ. მ. ბერეკაშვილი; უფროსი ინსტრუქტორები, ლ. დ. ქიქოძე, (ქუთაისის მაზრა) ი. ე. მეგრელიშვილი (სენაკის მაზრა) ე. ჟანი (რაჭა-ლეჩხუმი) ინსტრუქტორების **თანაშემწეები** (სტაროსტები) უნგიაძე და მხეიძე (ქუთაისის მაზრა) ძნელაძე (ოზურგეთის მაზრა) მებაღეები: ვ. ჯაფარიძე (შორაპნის მაზრა) ი. ზენიაშვილი (ოზურგეთის მაზრა). კომიტეტის იურიდიულ და ზნეობრივ მოვალეობას შეადგენს დახმარება აღმოუჩინოს ხალხს მხოლოდ მეეენახეობასა და მეღვინეობაში. თავისი მიზნის განსახორციელებლათ, სხვათა შორის, დადგენილია გაიწყონ სხვადასხვა ადგილას ვაზის მყნობის კურსები როგორც მაგალითად შემდეგ სოფლებში: ტყაჩირში, გურნაში, ვანში, ამაღლებაში, ასკანაში, ჯვარცმაში, ნებოძირში, ვერტყობილისჭალაში, ბახვში, ეწერში, ოყურეშში, ორბელში, ბუგეულში, ყულისკარში, წალენჯიხაში, ბანძაში, უშაფათში.

გარდა კურსებისა ამ ზამთრის სეზონში გამართავენ ბაასს სეზონის შესაფერ კითხვებზე შემდეგ ადგილებში: ახალ-სენაკში, ბანძაში, უშაფათში, წალენჯიხაში, ქვიშარში'ოორშხაში, ლანჩხუთში, ბახვში, ლეხაურში, ნებოძირში, კიცხში, ასკანაში, ჯვარცმაში, ვანში, საირმეში, ბაღდადში, ბუგაში.

გარდა ზემოხსენებული კურსებისა და ბაასისა გაკეთდება საჭვენებელი ვენახები, რომ ხალხს საშვალება მიეცეს დაისწავლოს ვენახის დარგვა, მოვლა, მოშენება და წამლობა. ამ მიზნისათვის ამორჩეულია ჯერჯერობით შემდეგი პუნკტები: **ორბელი** (ლეჩხუმის მაზრა) **შროშა** (შორაპნის მაზრა) **სარეშა** (ზუგდიდის მაზრა) **ლანჩხუთი** და **ბახვი** (ოზურგეთის მაზრა) **ბანძა** (სენაკის მაზრა) **რგუნა** (ქუთაისის მაზრა) **ტო ბანირი** და **ბაღდადი** (ქუთაისის მაზრა). (მეგ).

—

ბუტერსონის გადადგომა სამსახურიდან. მეფის ნაცვლის სამოქალაქო საქმეთა განყოფილების თანაშემწე გოფმეისტერი პეტერსონი სამსახურიდან გადადგა. მის მოადგილედ ასახელებენ თავ. არლოვს.

—

საქართველოს ექსარხოსი პიტირიმი როგორც ტფილისში მოსულ დეპეშიდან ჩანს, ინიშნება კიევის მიტროპოლიტად. ხოლო მის ადგილას ეპისკოპოსი ბარნაბა.

(„მეგობარი")

როგორც ბეტროგრადელი გაზეთები იუწყებიან საქართველოს ეგზარხოსად ასახელებენ ფინლანდიის არქიეპისკოპოზს სერგის, მის ადგილას ნიშნავენ ცნობილს ტობოლის ეპისკოპოზს ბარნაბას. თვით პიტირიმს კიევის მიტროპოლიტის კათედრას აბარებენ.

(მეგ).

—

პერმის ეპისკოპოზს ანდრიას ამ დღეებში შემდეგი შინაარსის მწყესმთავრული ეპისტოლე გამოუცია შესახებ მტაცებელ მოვაჭრეთადმი: ვითა ნამდვილი გერმანელი მარადიორები და ველური ტურები დაეცენ მცხოვრებლებს ზოგიერთი მოვაჭრენი, განსაკუთრებით მსხვილი მოვაჭრე მრწველნი. მოიმიზეზს ვითომ ის გარემოება, რომ ფაბრიკები და ქარხნები უმეტეს ნაწილად სამხედრო სამზადისს ეწევიან, რომ მუშა ხელი გაძვირდა და რომ მიტან მოტანა ძალიან დამძიმდა და სხ. და სხ., ფაბრიკანტები და მექარხნეები გარდარეულად უწევენ ფასებს პირველ საჭიროების საგნებზედაც კი, და რომ უფრო თავი გაიმართლონ თავის მტაცებლობაში, იგინი აკავებენ და მალავენ საქონელს, რომ აღარსად იქნეს ბაზარზე. ჩვენ' ღვთისაგან მოცემული უფლების-ძალით, ასეთ მტაცებელ ვეცხლის მოყვარეებს ვაძლევთ ღვთისს ამართალში და ვაცხადებთ: „ვეცხლი შენი შენთან დარჩეს შენდა წარსაწყმედელად. სიმდიდრე თქვენი დალპეს და სამოსელი თქვენი ჩრჩილმა შეშჭამოს." იგინი მტაცებელი ტურებია თავის მეზობლებისთვის და საშიში ბოროტ მოქმედნი მთელი

სამშობლოსათვის, რომელნიც იწვევენ უწესოებას, რაც ხელსაყრელია მტრისათვის.

—

ექსარხოსს პიტირიმს შემდეგი შინაარსის ტელეგრამა გამოუგზავნია თ. დ. ე. ჩოლოყაშვილისთვის პასუხად ამ უკანასკნელის ტელეგრამისა, რომელშიდაც სინანულს გამოსთქვამს თავადი, რომ ვერ დაესწრო მისი მეუფების გაცილებას თბილისიდან:

„თქვენი ბრწყინვალების პიროვნებაში გულითად სალამს ვუძღვნი საყვარელ საქართველოს. საქართველოს ექსარხოსი პიტირიმი.“ (Зак. р.)

—

ქუთაისის მაზრის უფროსი წინადადებას აძლევს მამასახლისებს აცნობონ, თუ რა საქმეს აღგიან ამ ჟამად ის ჯარის კაცები, რომლებიც ჯარში დაიჭრენ და დროებით გათავისუფლებულნი არიან.

„მეგ.“

—

1897 დაბადებულთა ჯარში გაწვევა. 22 ნოემბერს გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება 87 სტატიის ძალით. ნაბძანებია ჯარის და ფლოტის გასაძლიერებლად 1916 წელს გაიწვიონ ჯარში 1897 წლის დაბადებულნი; დღე როდის მოხდება გაწვევა გამოცხადდება განსაკუთრებული უმაღლესი ბრძანებით; გასაწვევი ყმაწვილები მიიღებიან სამხედრო სამსახურში ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, აგრეთვე ისინი, ვისაც მიეცემა პირველი ხარისხის შეღავათი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, ჩაირიცხებიან მეორე ხარისხის მოლაშქრეებად და გაიწვევენ სამხედრო სამსახურში, თუ კი აქიმების შემოწმების ჯანმრთელი გამოდგებიან; ასეთებს, როგორც მოლაშქრეთ გაიწვევენ დანარჩენებთან ერთად, რომელნიც ბრძანების ძალით იქნებიან დაბარებულნი. ესენი არ სარგებლობენ შეღავათის უფლებით ოჯახური, ქონებრივი მდგომარეობისა, თუ ხელობის მიხედვით. იმ დაწესებულებათა მუშების უზრუნველ საყოფელად, რომელნიც ამზადებენ საომარ მასალას და აგრეთვე ქვანახშირის მაღაროებში მომუშავეთ, ახლად ჯარში გასაწვევთ მიეცემათ ვადა 348 სტატიის ძალით. ვადა მიეცემა მხოლოდ იმათ, ვინც სამსახურში არიან.

„მეგ“

პეტერ. დეპ. სააგენტო იუწყება: საქართველოს ექსარხოსი პიტირიმი პეტროგრადის და ლადოგის მიტროპოლიტად დაინიშნა. მიტროპოლიტ ვლადიმირზე კი არაფერი ცნობაა.

—

მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტში. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის შუამდგომლობის თანახმად მისი უმაღლესობის მეფის მოადგილის წინაშე სამხედრო მინისტრმა ნება დართო მ. ე. ფრიდონოვის ფირმას მიეცეს დღეში ხუთი ვაგონი საექიმო მასალების გადმოსატანად არხანგელსკიდან თბილისს. თბილისის საგუბერნიო კომიტეტი აუწყებს რა ამ ამბავს ეკატერინოსლოავის, თერგის, ბაქოს, ელისავეტპოლის და ქუთაისის ინსტრუქტორებს, სანერგეების გამგეებს აცნობებს მათ რომ შაბიაბნის და გოგირდის ვაჭრობას აწარმოებს ფრიდონოვის ფირმა თბილისის მეღვინეობის და მევენახეობის საგუბერნიო კომიტეტის კონტროლქვეშ. ამიტომ ყველა კერძო პირები და დაწესებულებები, რომელთაც ეჭირვებათ ეს საგნები, უნდა მიიქცენ მევენახეობის და მეღვინეობის თბილისის კომიტეტში (Грибоѣдовская №19) წერილობით დაკვეთის ქაღალდზე უნდა იყოს ანიშნული: სახელი, მამის სახელი და გვარი ან წოდება დაწესებულებისა, საფოსტო მისამართი, ვენახების ადგილმდებარეობა და მათი სივრცე და რაოდენობა საჭირო მასალისა. ფუთი წამლის ღირებულება ჯერ გამოურკვეველია, მაგრამ მათი გაყიდვა მოხდება იმ ფასებში, რომელიც დაწესებული იქნება სამიწათმოქმედო დეპარტამენტის მიერ. ნაყიდი საქონლის ფულის ანგარიში უნდა გაუწორდეს პირდაპირ ფრიდონოვს.

(Зак. р.)

ყოფილ და დღევანდელ მისსიონერთადმი.

ჩვენი მკითხველები იმედი გვაქვს, ყურადღებით წაიკითხავდენ მისი მეუფების ეპ. ლეონიდის წერილებს „შინაურ საქმეებში“ შესახებ მისსიონერებისა ჩვენი ქვეყნის გამახმადიანებულ ქართველთა შორის; იმედი გვაქვს ჩვენი ქართველი პრესაც გახდიდა ამ წერილებს თავის ყურადღების ღირსად და ერთ წამს მაინც დაუფიქრდებოდა თავის აზრის ღირებულობას აღძრულ საკითხის შესახებ: თუმცა რეალური დამამტკიცებელი საბუთი არა გვაქვს ასეთი იმედისა, რადგან ხსენებული წერილების შესახებ არაფერი თქმულა ჩვენ საერო პრესაში, გარდა ბ-ნი „შინაურის“ მცირე შენიშვნისა „სახალხო ფურცელში“, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ აზრთა შინაგანი ბრძოლა მაინც ხდება მათ გულში, ვინც გუშინ წინააღმდეგი იყო მისიონერობისა გამახმადიანებულ საქართველოში. თვით „შინაურის“ მცირე შენიშვნასაც თითქმის არაფერი წინააღმდეგი აქვს მისსიონერობის წინააღმდეგ, მხოლოდ ის აფიქრებს, რომ მისსიონერობის უკანასკნელი მიზანი და შედეგი მაინც და მაინც ნათლისღებაა. დავარწმუნებთ ბ. „შინაურს“, ძალდატანებით არც ერთი მისსიონერი არ იკადრებს მახმადიანის მონათვლას, ხოლო თუკი იგივე მახმადიანი, სრული დარწმუნებული ქრისტეს მოძღვრების უპირატესობაში და სინამდვილეში, ნათლისღებას მოისურვებს, ამის წინააღმდეგი არც „შინაური“ უნდა იქნეს, რადგან ასეთი შემოერთება საბოლოო შემოერთებას ნიშნავს, რომელსაც ვერ დაარღვევს ვერავითარი გარეშე ძალა, ვერც სარწმუნოებრივი და ვერც ეროვნულ-ეტნოგრაფიული. ან კი რომელი ქართველის სურვილი არ არის, რომ ჩვენი დაკარგული ძმის დაბრუნება მშობლიურ ოჯახში სრული, ყოველმხრივი, საუკუნო და საბოლოო იქნეს, როგორც იმ მეძავი შვილისა, რომელზედაც მოგვითხრობს წმ. სახარება ცნობილ იგავში. ვინ არ ისურვებს, რომ ტომით ძმებს აზროვნება ბ მსოფლმხედველობაც ერთი მიმართულების ჰქონდეს, ერთი და იგივე სულიერი და ხორციელი საგანი აინტერესებდეს. რამდენად ინტერესების მეტი სხვადასხვაობაა ერთ და იმავე ოჯახის შვილთა შორის, იმდენად ოჯახის მდგომარეობა საშიშია, იმდენად ძნელია მისი ერთიანობა და მთლიანობა. სულ მცირე მიზეზია საჭირო, რომ ასეთი ოჯახი დაირღვეს, დანაწილდეს დაქუცმაცდეს, — სწორეთ ისე რა გორც ჩვენი ქართველი ინტელიგენციაა დღეს დაქუცმაცებული ათასნაირ პარტიად და ამიტომ ძალა გამოლეულიც, უღონო, უნიათო ვის ეპრიანება ასეთნაირი შეერთება, ან რა საჭიროა იგ? რათ გვინდა, რომ სოციალდემოკრატები ქართველები არიან, თუ ქართულ ნაციონალურ საკითხებს უარს ჰყოფენ და აბუჩად აიგდებენ, რას ეხმარებიან იგინი ქართულ საქმეს?

„ერთ სულ და ერთ ხორც“ — აი ნამდვილი შეერთების ლოზუნგი, რომელსაც უნდა მისდევდეს ყოველი კაცი, ვისაც კი ეროვნული მტკიცე შეკავშირება სწყურია.

ჩვენ პირადათ ერთ წამსაც არ ვეპობთ რომ მისიონერები, ნამდვილი ეროვნული მისიონერები საჭირონი არიან გამახმადიანებულ მოძმეთა შორის, მაგრამ მაინც საჭიროა ვიცოდეთ ამის შესახებ მათი აზრი, ვინც მისსიონერად ნამყოფია, ან დღეს მისსიონერობენ. ასეთი პირების მოწმობა და ცოცხალი მაგალითები უფრო ბევრს გვეტყვიან, ვიდრე ჩვენი პრესის ერთი წლის თეორეტიული სჯა-ბაასი. ამიტომ ვსთხოვთ მ. მ. არხიმანდრიტს გაბრიელს, მღვდელს მიხეილ ჩხიკვაძეს და სხვებს, ვისაც მათი მეუფება მიმართავს ხსენებულ წერილებში გამოსთქვან თავისი აზრი ამ საგნის შესახებ ბ გაგვიზიარონ თავისი შთაბეჭდილებანი, რომელნიც მათ მიიღეს თავის მისიონერობის დროს თავიანთ სამისიონერო რაიონებში.

ბოდიშს ვიხდით, რომ ამ შეერთებულმა ნომერმა ამდენ ხანს დაიგვიანა. მიზეზი რედაქტორის ოჯახური მოულოდნელი შემთხვევა იყო

რედ.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა.

აზრები, ამონაწერები საღვთო წერილის საეკლესიო საკითხავებიდან წლის ყოველი დღისათვის თხზულება ეპ. თეოფანესი. თარ. მღვდ. გრ. ნადირაძისა.

ამ სათაურით მოუვიდა „შინაურ საქმეების“ რედაქციას თარგმანი ეპ. თეოფანეს მშვენიერი წიგნისა. ჩვენ დროში, როცა ასეთი სიღარიბე გვჭირს სასულიერო შინაარსიან წიგნებისა, დიდი მადლობის ღირსია მ. გრ. ნადირაძე, და ჩვენც დიდ მადლობას უძღვნით, ასეთი ფეშქაშისათვის. დარწმუნებული ვართ მადლობით მოიხსენიებს მის შრომას მორწმუნე სამღვდელოება და საზოგადოება. ვიმედოვნებთ აგრეთვე, რომ მამა გრიგოლს მიმბაძველნიც გამოუჩნდებიან საღვთისმეტყველო თარგმნითი ლიტერატურის სარბიელზე, რაც ასე გვეჭირვება დღეს.

მამა ნადირაძის მაგალითი იმის მაჩვენებელია, რომ სოფლის მღვდელ შეუძლია არ აშორდეს თვითგანვითარების გზას და ცოტაოდენი წვლილიც შეიტანოს ჩვენს საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, რისაც უსურვებთ ყველას და განსაკუთრებით ჩვენ სემინარიელ მღვდლებს, რომლებსაც ჯერ არავითარი უნარი არ გამოუჩენიათ ამ სარბიელზე.

სიამოვნებით უთმობთ ადგილს ამ მშვენიერ. თხზულებას ჩვენი გამოცემის ფურცლებზე იმ იმედით, რომ იქნებ ოდესმე ცალკე წიგნათაც გამოიცეს. ყოველ ნომერში მოთავსებული იქნება შესაფერი კვირიაკის დღეების დარიგებანი, რითაც ისარგებლებენ მოძღვრები თავის ქადაგებებისთვის, ან წაუკითხავენ მლოცველებს დარიგება მოძღვრების სახით.

კ ვ ი რ ი ა კ ე 29.

იესო ქრისტემ განჰკურნა ათი კეთროვანი და ამ ათში მისთვის მადლობის შესაწირავად მოვიდა მხოლოდ ერთი (ლუკა XVII, 12—19). ასეთივე არ არის დღესაც საერთოდ შეწყნარებულთა და მადლიერთა პრაპორცია? ვის არ მიუღია სიკეთე, ან უკეთ რომ ვთქვათ: რა გვაქვს ჩვენ ან რა ხდება ჩვენ შორის ისეთი, რაც ჩვენთვის სასიკეთო არ იყოს? მაგრამ ყველა მადლიერი ვართ ღვთის და ყველაფერში მადლობას ვსწირავთ მას? არიან ისეთებიც, რომელნიც კადნიერად ეკითხებიან: „რათ გაგვაჩინა ღმერთმა! უმჯობესი არ იქმნებოდა, არ გავჩენილიყავითო“? ღმერთმა იმიტომ გაგაჩინა, რომ მუდამ ნეტარებაში ყოფილიყავი. მოგცა შენ არსებობა უსასყიდლოდ, შეგჭურვა შენ ამ ნეტარებისადმი მისაღწევ ყველა საშუალებით. ეხლა შენზეა საქმე: საჭიროა მხოლოდ ცოტა შენც იმაცადინო ამისთვის. ამბობ: „მე სულ მწუხარე ვარ, ავადმყოფობა და უბედურობა არ მეღევაო“. რა ვუყოთ, ესენიც საშუალებაა ნეტარების მისაღწევად, მოითმინე. მთელი შენი სიცოცხლე ერთ წუთადაც არ ჩაითვლება დაუსრულებელ ცხოვრებასთან შედარებით. თითქმის მთელი შენი სიცოცხლე რომ განუწყვეტლივ იტანჯო, ესეც არაფერია მარადისობასთან, და შენ სანუგეშო წამებიც ხომ მოგეპოება ცხოვრებაში. აწმყოს კი ნუ უყურებ, უყურე იმას რასაც გიმზადებს მომავალი, იზრუნე, რომ მისი ღირსი შეიქნე და მაშინ მწუხარებასაც ვერ შეამჩნევ. ყოველი შენი მწუხარება შთაინთქმება სამარადისო ნუგეშზე უეჭველ სასოებაში და მადლობის გამოსაცხადებლად შენი ბაგე არ დადუმდება.

ო რ შ ა ბ ა თ ი.

იესო ქრისტე თავის მოწაფეებით ჩაჯდა ნავში და უნდა გასულიყო მეორე ნაპირას. მოციქულებს დაავიწყდათ პურის წაღება. მათ გაჰყვათ მხოლოდ ერთი პური, რამაც ძალიან დააჯავრიანა და შეაშინა ისინი. იესო ქრისტემ იცოდა რა მათი გულისთქმა და რომ აღეყვანა ისინი მტკიცე სასოებამდე, მოაგონა მათ ერთხელ ოთხი და მეორეჯელ ხუთი ათასი სულის განძღომა და რომ მასთან ისინი შიმშილით არ მოკვდებოდენ, სრულიადაც რომ არ ქონებოდათ პური წაღებული. (მარკ. VIII, 13—21)

ხშირად ვწუხვართ და ვჯავრიანდებით მომავალი ჩვენი ხვედრის უცოდინარობისა გამო. ამ მწუხარების და ჯავრისგან ჩვენი გამომხსნელი

არის ერთი რამ—სასოება ღმერთზე; ხოლო განცხოველება და განმტკიცება ვამოდიან გონიერი დაკვირვებისაგან იმაზე, თუ რა შეგვხვედრია. ჩვენ ან სხვას. იმისანა კაცი არ მოიძებება რომელსაც თავის სიცოცხლეში არ გამოეცადოს უბედურებისგან უკრად თავის დახწევა, ან უცაბედი შემოტრიალება ცხოვრებისა უნჯობესისადმი. ამაების მოგონებით განიცხოველე შენი სული, როცა მას ჰქონჯნიან ბნელი აზრები, თუ რა მეშველებაო. ღმერთი ყველაფერს მოაწყობს უკეთესად ახლაც ისე, როგორც წინეთ ყოფილა. დაემყარე მას; ჯერ კიდევ უბედურებისგან გამოხსნამდი ის გამოგიგზავნის შენ სულის კეთილ განწყობილებას, რომელთანაც ვერც კი შეამჩნევ შენს უბედურობის. მოსავთა უფლისათა წყალობა გარემოადგეს. გადაათვალიერე ასეთი შემთხვევები საღმრთო წერილში წმიდა მამებისა შენსა და ან შენი ნაცნობ-მეგობრების ცხოვრებაში და დაინახავ, როგორც სარკეში, თუ როგორ ახლოს არს უფალი ყოველთა მხმობელთა მისთა. და შიში შენს მოშიშავალ ხვედრზე არ ააშფოთებს შენს სულს.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ.

იესო ქრისტემ ბეთსაიდელ ბრმას ერთბაშად არ აუხილა თვალი, არამედ პირველად ცოტა და მეორეჯერ სრულიად, ასე რომ მან ყველაფერი ნათლად დაინახა (მარკ. VIII,22 26). რისთვის მოიქცა ასე უფალი? ჩვენვე გამოვიყვანოთ აქედამ შემდეგი აზრი: თუ კი საჭიროდ ითვლებოდა ხორციელი მხედველობის თანდათანობით განკურნება, მით უმეტეს ამისანა თანდათანობა საჭიროა ჩვენი გონების* თვალის განათლებაში. ასეც იყო ეს. პატრიარხების ხანაში ღვთის განცხადების ცნობიერება იყო არა რთული; სჯულის ქვეშ მდებარე ხანაში ის უფრო რთული და სავსე შეიქნა, ჩვენს ქრისტიანობის ხანაში უფრო მეტი ვრცელი და ამაღლებელი. მაგრამ ბოლო ეს არის? ამ ქვეყანაზე უმაღლესს ნუ ელი, ხოლო იმ ქვეყანაზე კი იქნება... ამაში გვარწმუნებს ჩვენ ორი წმ. მოციქული: წმ. იოანე და პავლე. (იოან. III, 2,) (1 კორინ. XIII. 12.) ეხლა ვიხედებით ისე, როგორც ბუნდოვან მინაში, მაშინ კი დავინახავთ ყველაფერს ნათლად. მაგრამ იქაც იქნებიან ხარისხნი ბუნებრივი განათლებისა, ვინაიდან ღვთის ცნობიერობის სამფლობელო უსაზღვროა. ქვეყანაზე ღვთის განცხადება შესრულებულია; არა, საჭირო უმაღლესსზედ ვიფიქროთ; ყველაფერი გვაქვს, რაც საჭიროა: შეითვისე და იცხოვრე ისე. ქრისტეანული განცხადება არ გვპირდება კიდევ ახალს განცხადებას; არამედ მხოლოდ მას, რომ სახარება ცნობილი შეიქნება მთელ ქვეყანაზე და რომ ეს საყოველთაო ცნობა და შეგნება სახარებისა იქმნება დასასრული ჩვენი დღევანდელი ნივთიერი წესწყობილებისა. მაშინ სარწმუნოება დასუსტდება, სიყვარული განქარდება, ცხოვრება გაჭირდება, — და ღვთის სახიერება დასდებს ქვეყანას დასასრულს.

ᲝᲗᲮᲖᲐᲒᲐᲗᲘ.

მოიწვევს რა ხალხს აღიღონ ჯვარი და მისდიონ მას, უფალი უკაფავს მათ ამ გზას, გააცლის რა მაზედ უმთავრეს დაბრკოლებებს, არა გარეგანათ არამედ შინაგანათ, რომელნიც ბუდობენ ადამიანის გულში. გსურს, თითქოს ასე ბრძანებს იგი, ჩემ კვალზე სიარული, — პირველად არ დაიზოგო თავი, რადგან ვინც თავს დაიზოგავს, იგი დაღუპავს თავის თავს; მეორედ ნუ იბოქები ქონების მოყვარეობით (მარკ VIII, 36); მესამედ, ნუ მიხედავ მას, თუ რას ამბობენ შენზე, ან როგორ გიყურებენ სხვები: **რაჰეთუ რაჰელსა იგი სარცხვაღ-უჩნდეს, ჩემი და სიტყვათა ჩემთა, ნათესაგსა ამას მრეგეშესა და ცოდვიანსა ძეშანცა კაცისაშან სრცხვინოს მას, რაჟამს მოვიდეს დიდებითა მამისა თჳისისითა ანგელოზთა თანა წმიდათა.** (მარკ. VIII. 38). თავის სიბრალული, ქონების მოყვარეობა და სირცხვილი კაცის წინაშე არიან უმთავრესნი ჯაჭვნი, რომლებითაც ადამიანი მიბმულია ღვთის არა სათნო ცხოვრებაზე, ენებათა და ცოდვის გზაზე. ისინი არიან უმთავრესნი

დაბრკოლებანი ცოდვილის მოქცევაში. ისინი არიან უმთავრენი საგანნი სულიერი ბრძოლისა მოსინანულე ადამიანში, ან მასში, რომელმაც იწყო უკვე სინანულის ნაყოფის გამოღება, მანამ ეს ჯაჭვები არ დაიმსხვრევა, ქრისტეანული ცხოვრება ჩვენში უიმედო იქმნება, ხშირი იქმნება მასში წაბორძიკება და დაცემა, თუ არა ყოველთვის გარეგნულად, შინაგანად მაინც. აი, ამიტომაც დაუკვირდი შენს თავს კარგად, და თუ შენში იყოს, რომელიმე ზემონათქვამთაგანი, იზრუნე განიშორო ის თავიდამ. სხვაფრივ იმედი ნუ გაქვს, რომ სრული შეიქმნე ქრისტესმიერ გარეგნულადაც რომ წესიერება დაიცვა.

ᲮᲣᲗᲨᲐᲒᲐᲗᲘ.

ისტორია მიმდინარეობს და ისე სჩან, ვითომ ულმობელად საზღვრავს კერძო შემთხვევებს. რამდენი მზადება იყო მაცხოვრის მისაღებად! ბოლოს მოვიდა ახლობელი მისი მაჩვენებელი იოანე, —მაგრამ რა გამოვიდა? იოანეს მოექცენ, როგორც უნდოდათ (მარკ IX, 13) ძე კაცისაკ დამცირებულ იქმნა და ევნო (იქ. 12). მოვლენათა მიმდინარეობის გადატეხა შეუძლებელი იყო: მან თავისი ქნა. ასე ყოველთვის მიმდინარე ისტორია ყველაფერს მიაქანებს თავის კვალზე. ეხლა ვიკითხოთ: სადღაა თავისუფლება? და ან რა უნდა იყოს იგი მოვლენათა ამნაირწყობილებაში? მოჩვენება და მეტი არაფერი. საზოგადოდ ამნაირად სჯიან ფატალისტები (ბედის წერის მორწმუნენი), მაგრამ ეს ყოველისფრის განმსაზღვრელი აუცილებლობა მოვლენათა მიმდინარეობისა არის მხოლოდ მოჩვენებითი, ნამდვილ კი ყველა მოვლენანი ადამიანის საზოგადონი, თუ კერძონი, არიან ნაყოფი ადამიანის თავისუფალ დაწყებულებათა. საზოგადო მიმდინარეობს ასე სწორედ იმიტომ, რომ ყველას თუ არა უმეტეს ნაწილს მაინც ასე სურს, და კერძოც ეთანხმება მას იმიტომ, რომ იმასაც და ამასაც კერძოთ ასე სურთ. ამის დამტკიცება თვალწინ გვაქვს. საზოგადო კეთილში არის კერძო ცუდიც და საზოგადო ცუდში—კერძო კეთილიც. ამას გარდა, მტკიცედ შემდგარ საზოგადოში იბადებიან კერძონი, რომელნიც თანდათანობით ისე იზრდებიან და მტკიცდებიან, რომ შემდეგ ჰსძლევენ პირველს საზოგადოს და იპერენ მის ადგილს, მაგრამ ეს კერძონი არიან ყოველთვის თავისუფლების საქმე. რა საერთო აქვს ქრისტიანს იმ დროის ზნე—ხასიათთან, რომელშიდაც იგი ჩაისახა. ის ჩათესლებულია რამოდენიმე პირთაგან, რომელნიც არ იყვნენ წარმოშობილნი ისტორიის აუცილებელ მიმდინარობისა, მან მოიზიდა მსურველნი, მტკიცედ გაფართოვდა და შეიქნა მაშინდელი კაცობრიობის საზოგადო საქმედ, ხოლო ის მაინც თავისუფლების საქმე იყო. იგივე ითქმის ცუდ მიმართულებაზე. რად გაირყვნა დასავლეთი? თავის თავი მან თვითონ გარყვნა: სახარების მაგიერ, იწყეს სწავლა წარმართთაგან, გადმოიღეს მათი ჩვეულებანი და გაირყვნენ. ეგრეთვე მოგვივა ჩვენც. ვიწყეთ ქრისტეს უარის მყოფ დასავლეთიდან სწავლის შეძღნა და გადმოვიტანეთ ჩვენში მისი სული, —გათავდება მით, რომ ჩვენც, მათსავით მოვშორდებით ჭეშმარიტ ქრისტიანობა. მაგრამ ყველა ამაში არაფერი არ არის აუცილებელი განმსაზღვრელი თავისუფლების საქმისა. ვინებებთ—განვდევნით დასავლეთის სიბნელეს; ვინებებთ და ჩავეფლებით შიგ.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

მაცხოვარს სარწმუნოებაში და ცხოვრებაში მისაბაძ მაგალითად მოჰყავს ბავში (მარკ. IX, 36.). სარწმუნოების სიმარტივე შობს მარტივ ცხოვრებას; იმისა და ამისაგან წარმოსდგება სამაგალითო ზნეობრივი განწყობილება. შეუშვი შიგ ჭკუა, ის მოახდენს შიგ განხეთქილებას, ვითომ უკეთესად აწყობდეს საქმეს, მთელ ცხოვრებას აპუწავს. ჭკუის კაცი ყოველთვის ასე ჰყვირის: ეს არ ვარგა, ის—არ ვარგა, მო-

მეცით, მე უკეთ მოვაწყობ საქმეს ახალ გეგმაზე, ძველი არ ვარგა, მომწყინდა“. მაგრამ არასოდეს ჯერ კიდევ უკეთესი არ მოუგონია, თუ არ წაუხდენია. ჭკუას მართებს უსმინოს მას, რაც ნამცნევი გვაქვს უფლისაგან. მართალია ჭკუა თავში მეფობსო, იტყვიან, მაგრამ ამ მეფეს არ აქვს მაკეთული კანონმდებლობითი უფლება, არამედ მხოლოდ აღმასრულებლობითი. მოჰკიდებს თუარა ხელს კანონმდებლობას, იგი ისეთ რამეს მოროშავს, რომ თვითონაც ვერ გამოერკვევა. მაშინ ის არღვევს ყველა წესებს: ზნეობრივს, სარწმუნოებრივს, საოჯახოს და პოლიტიკურსაც და ყველაფერს ყირამალაზე აყენებს. დიდი უბედურია ის საზოგადოება, სადაც ჭკუას აძლევენ ასეთ თავისუფალ აღმაფრენას და არ აკავებენ მას საღმრთო ჭეშმარიტებით. ეს ღვთის რისხვაა. ამაზეა ნათქვამი: „ცოტა ხანს მიიმალეთ! სანამ აივლიდესო“.

ამ ჭკუის გახურკებულ თვითნებობის დროს, უნჯობესია თავი შეაფარო სარწმუნოების სიმარტივეს, როგორც ქარიშხალის დროს უნჯობესია სახლში იჯდე და გარეთ არ გამოხვიდე ქედმაღლად მასთან შესაბრძოლებლად; ისე ჭკუის აბობოქრების დროს უნჯობესია არ გამოხვიდე მასთან საბრძოლველად და ხელი არ წაავლო იმავე იარაღს მის საწინააღმდეგოდ. სარწმუნოების სიმარტივე უფრო ძლიერია ჭკუის ყოველ მოძრაობაზე. შეიმოსე იმით, როგორც იარაღით და მაშინ გაუძლებ.

შ ა ბ ა თ ი.

როცა სადმე ხარ მიწვეული, ნუ დაჯდები პირველ ადგილზე (ლუკა XIV, 8), ე. ი. ყოველთვის და ყველგან უნდა იჭერდე უკანასკნელის ნაწილს. ამ უბრალო მცნებაში მოკლეთ არის გამოთქმული სიმდაბლის მთელი მდიდარი შინაარსი. აიღე იგი დაჯედი და განიხილე ყოველგვარი შესაძლებელი შემთხვევა შენს ცხოვრებაში და ყველაფერში გამოარჩიე შენთვის უკანასკნელი ნაწილი. ეს უკანასკნელი იქნება შენი სიმდაბლის ვარჯიშობა, რომელიც შემდეგ გარეგან საქმეებიდამ ნელნელა შიგნი გადავა და დასტოვებს იქ სიმდაბლის დანალექს, როგორც დასაწყისს. ჟამი გაზრდის ამ თესლს იმავე ვარჯიშით და სიმდაბლე აღავსებს, დაბოლოს, მთელს შენს სულსა დ სხეულს დ ყველა გარეგან საქმეებს. რა იქმნება შემდეგ? ის რომ ზნეობრივი დიდება გაგიბრწყინდება შუბლზე და მოიზიდავს საზოგადო პატივისცემას; და მაშინ შესრულდება შენს თავზე: **რომელმა აღიმაღლოს თავი თჳისი დამდაბლდეს, დ რომელმა დაიმდაბლოს იგი ამაღლდეს**. მაგრამ, როცა სიმდაბლეში ვარჯიშობ, ეს კი ნუ გექნება სახეში, არამედ თვით სიმდაბლე. მას თავისთავად შეაქვს სულში სანეტარებელი კეთილ-განწყობილება. სადაც ის შედის იქ ყველა შინაური არეულობა ისპობა და არც ერთს გარეგანს უსიამოვნებას არ მოაქვს თავზარ დამცემი შთაბეჭდილება, როგორც ზღვის ტალღა, როცა მას არაფერი აბრკოლებს, თავისუფლად დასცურავს ზღვის ზედა პირზე, ისე, გარეგანი და შინაგანი მწუხარებანი ვერ ეხებიან სიმდაბლით გამსჭვალულ სულს და დადიან მაზე ისე, რომ კვალსაც ვერ აჩენენ.. ეს, ასე ვსთქვათ, არის ჩვეულებრივი უპირატესობა სიმდაბლისა. ხოლო როგორი ნათელი აშუქებს მას ზეცით, რა ნუგეში ევლინება მას, როგორი სივრცე თავისუფალ მოქმედებისა იშლება მის წინ!... ჭეშმარიტად სიმდაბლე ყველაფერს იცავს თვის შორის.......

— —

სოფ. ამაღლება.

ჩვენი საზოგადო სენი საზოგადოებრივი თვითმოქმედების უქონლობაა. ჯერ, რა თქმა უნდა, შეგნებაც გვიჭირს საზოგადო აუცილებელი მოთხოვნილებისა და, კიდეც რომ შევიგნოთ, თვითმოქმედების უნარი არა გვაქვს. არა გვაქვს უნარი, რომ უკვე შეგნებული და აუცილებელი მოთხოვნილება ჩვენის ნებით, ჩვენის ინიციატივით დავიკმაყოფილოთ. უთუოდ რაიმე გარეშე ძალამ უნდა შეგვაგნებიოს და კიდეც აგვძრას და გვაიძულოს სამოქმედოდ. ასეთ პირობებში სოფელს შეგნებული და მოქმედი მოხელე ეპირვება. მხოლოდ მის ძალდატანებას შეუძლია ცხვირი მოგვახოცინოს ან პირი დაგვაბანინოს. უიმისოდ ვერ მივხვდებით, რომ წვინტლიან ცხვირის მოხოცვა უნდა და მწვირიან პირს დაბანა და, კიდეც რომ მივხვდეთ, არც ერთს ვიზამთ და არც მეორეს. რამდენი ხანია ჩვენი სოფლები უგზოობით იხრჩობა, რამდენი ხანია ტალახშია ჩაფლული? კიცი მეზობლისას ვერ მივა ისე, თუ თავიდგან ბოლომდე არ დაითხუპნა და წუმპეში არ ამოევლო ჩურჩხელასავით, რამდენი ხანია გრძნობს, ჩვენი სოფლის კაცი ამ უბედურების, გრძნობს რომ კარგი გზა საჭიროა, მაგრამ რა გამოვიდა, ცხვირი ისევ მოუხოცელი რჩება, პირი ისევ დაუბანელია. ვიმეორებთ, აქ ხსნა მხოლოდ გარეშე ძალაშია, სოფლის მოხელეშია და სწორეთ ამ სიკეთეს არის მოკლებული ჩვენი სოფელი, ჩვენი ამაღლება. არც სამეზობლო გზა, არც სასოფლო-საკანცელარიო, არც საბაზრო-საიარმარკო, არც საეკლესიო არ წარმოადგენს გზას, არამედ რაღაც აზელილ ნივთიერებას, რომლის წყალობით ფეხზე საცმელი არ შეგრჩებათ, თუ ჯაჭვებით არ დაიკარით. ასეთ უგზო-უკვლობაში აქ არსებობს უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, რომელშიდაც 85 შაგირდი დაიარება 1—2 ვერსის მანძილზე. ძნელი არ არის მისი წარმოდგენა, თუ რა გაჭირვებას განიცდიან და რა სახით შოდიან კლასში ეს უბადრუკი, ნახევრად ტიტლიკანა ბავშები. ათასი წყალი უნდა გამოიარონ და ერთგან ფარჩხი არ არის გადებული, რომ მშრალად გამოვიდენ. თვით სასწავლებლის კარებზე რამოდენი ხანია ბოგირი მოიშალა და გამკეთებელი კაცი არ ყავს. სხვა საქმეა, რომ გზის მოსაფენი მასალა, რიყის ქვა, ცხვირისწინ არ გვქონდეს. საკმარისია ერთი კვირის მუშაობა, რომ მთელ სოფელში გზები საუკუნოდ დაკეთდეს. ამას მხოლოდ ბრძანება უნდა და ბრძანებას შეგნებული მბრძანებელი, ჩვენ-კი ორივეს მოკლებული ვართ. რომ ასე არ იყოს დღეს მუშა ხელი და სამუშაო ცხოველი მოცლილია და ეს საქმე ადვილად მოეგვარება.

აქ საკვირაო იარმუკა არსებობს, ამიტომ ბრალიანი და უბრალო, ვაჭარი და ცუდათ მოყიალე, მოხუცი, თუ ჭაბუკი კვირა დღეს აქ ატარებს, ეკლესია კი ცალიერია. ხალხს კარგათ ესმის ასეთი საქციელის მავნებლობა, მაგრამ, თვითმოქმედობის უქონლობის გამო, ვერ მოუხერხებია სხვანაირად შესცვალოს ეს მდგომარეობა. აქ კი საჭიროა ხასულიერო მთავრობამ აღიმაღლოს ხსა და საქმე სასურველად მოაგვაროს, თუ კიდევ გვყავს სასულიერო მთავრობა, რომელიც სულიერ საქმიანობას ეწევა, მაგრამ, მგონი, აქაც ისეთი სიცალიერეა, როგორც საერო მთავრობაში. და უარესიც კიდე...

ამაღლებელი.

რედაქტორი მღვდელი ს. მჭედლიძე.
გამომცემელი ი. ლეონავა.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. სტამბა „ძმობა“ ქარვასლ. ქ. სახ. ჩარეულოვისა